

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდ. ხედეთურზე
დაბალზღურბლიანი კაშხლის მშენებლობის და ექსპლუატაციის
პროექტის საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

27 ივნისი, 2014 წ.

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებსა და კომენტარებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდ. ხედეთურზე დაბალზღურბლიანი კაშხლის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე:

1. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ გზმ ანგარიშში არაერთი საკითხი ზედაპირულად არის წარმოდგენილი. არ არის სრულყოფილად შესწავლილი, საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზეგავლენა სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე.

2. გზმ დოკუმენტის 6.11.2.3 ქვეთავში, ნათქვამია, რომ პროექტს დადებითი ზეგავლენა ექნება დასაქმების მხრივ. მაშინ როცა, ანგარიშის 4.1 ქვეთავში ნათქვამია, რომ პროექტს მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი არ გააჩნია, რადგან მშენებლობაზე იგეგმება 40 ადამიანის დასაქმება და მათი უმეტესი ნაწილი, იქნება რაჭა ჰესის მშენებლობაზე დასაქმებულები (ისიც მხოლოდ მშენებლობის ფაზაზე, ექსპლუატაციის ეტაპზე ნაგებობის ოპერირება დიდი რაოდენობით მუშა რესურსს არ საჭიროებს). აქედან გამომდინარე ნათელია, რომ ახალი კადრების აყვანა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება პროექტის მშენებლობისა, თუ ექსპლუატაციის ეტაპზე არ მოხდება. შესაბამისად, საუბარი მასზედ, რომ სოციალურ გარემოზე პროექტს ადგილობრივების დასაქმების კუთხით, დადებითი ზეგავლენა ექნება შეუფერებელია.

აქვე ყურადსაღებია, რომ მშენებლობის ფაზაზე მოსალოდნელ უარყოფით ზემოქმედებებს შორის, დასახელებულია, რომ მოსახლეობას შეეზღუდება ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობა. მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე შემუშავებული უნდა იყოს, ამ მხრივ შესაბამისი საკომპენსაციო თუ შემარბილებელი ღონისძიებები.

3. არ არის სრულყოფილად შესწავლილი, პროექტის განხორციელების პროცესში, ხმაურის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე. ანგარიშში მხოლოდ შეფასებულია, უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე, სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ზეგავლენა. გზმ დოკუმენტში მოცემულია, რომ „*სამშენებლო მასალების და მუშახელის ტრანსპორტირებისათვის ძირითადად გამოყენებული იქნება სოფ. სადმელიდან მდ. რიცულას ხეობაში გამავალი საავტომობილო გზა*“. გამომდინარე აქედან, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას, უშუალო ზეგავლენა ექნება, სოფ. სადმელის მოსახლეობაზე. რაც ანგარიშში, სათანადოდ არ არის შეფასებული და შესაბამისად არ არის დადგენილი, ზეგავლენის შესამსუბუქებლად, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

4. პროექტის მიხედვით, 120 მეტრის მანძილზე გათვალისწინებულია დაკიდული მილხიდის მოწყობა. არ არის შეფასებული, თუ რა უპირატესობა / ნაკლოვანება ექნება მილხიდის მსგავსი სახით განთავსებას, სხვა

ალტერნატიულ ვარიანტთან შედარებით. აქვე უნდა ითქვას, რომ დაკიდულ მილხიდს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება ექნება ფრინველებზე, სიკვდილიანობის გაზრდის მხრივ. ამიტომაც, აუცილებელია გადახედოთ იქნას კიდევ ერთხელ ეს საკითხი და სათანადოდ წარმოდგენილი.

5. გზმ დოკუმენტში ნათქვამია, რომ „დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების რაიონში დაცული ტერიტორიები არ არის განლაგებული. მიუხედავად ამისა ჰიდროტექნიკური ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ის ფაქტი, რომ მიმდებარედ არსებობს სამონადირეო მეურნეობა „კაპირა“. ამის შემდეგ, არაფერია მოცემული, თუ რა მანძილით არის დაშორებული საპროექტო ტერიტორია სამონადირეო მეურნეობიდან, რა ზეგავლენას მოახდენს, პროექტის განხორციელება მასზე და რა საკომპენსაციო ღონისძიებების გატარება იქნება აუცილებელი.

6. ანგარიშის მეტად ზედაპირულ ხასიათს ადასტურებს დოკუმენტში მოცემული წინადადება, რომ „მდ. რიცეულას და ხედეთურის იქთიოფაუნის შესახებ ლიტერატურული მასალების მოძიება ვერ მოხერხდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მდინარეები მდ. რიონის წყალშემკრებ აუზს მიეკუთვნება, აქ წარმოდგენილი იქნება მდ. რიონის მოცემული მონაკვეთისათვის დამახასიათებელი თევზის სახეობები“. შემდეგ კი ჩამოთვლილია მდ. რიონში არსებული თევზის სახეობები. ამის შემდეგ კი, საუბარია მასზე, რომ „ადგილობრივი მოსახლეობის და მოყვარული მეთევზეების გამოკითხვით მდ. რიცეულას ქვედა დინებაში შეიძლება შეგვხვდეს: კალმახი (*Salmo forio Linne*), კოლხური წვერა (*Barbus tauricus*) და კავკასიური ქაშაპი (*Leuciscus cephalus orientalis*), ზედა დინებაში კი მხოლოდ მდინარის კალმახი (შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში) ბინადრობს“. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის ჩანაწერები ზოგადი სახის არის და გზმ ხარისხის ნაკლოვანებაზე მიუთითებს.

პროექტის მიერ ზეგავლენის დასადგენად, აუცილებელია მდინარის ხეობის იმ ნაწილის საგულდაგულო გამოკვლევა, რომელიც დერივაციის ზეგავლენის ქვეშ ყვება, რათა გამოვლენილ იქნეს მოწყვლადი სახეობების ჰაბიტატები, დაიგეგმოს სავარაუდო შემარბილებელი ღონისძიებები, ან შეუქცევადი დეგრადაციის შემთხვევაში, გამოტანილ იქნეს უარყოფითი დასკვნა.

7. ანგარიშის 6.7.2.1 ქვეთავში ნათქვამია, რომ „ტყის გაჩეხვა არ მოხდება განსაკუთრებით დიდი ფართობის ტერიტორიებზე“. თუმცა, არც დაზუსტებით არის წარმოდგენილი, თუ რა რაოდენობის ტყის ფართობის გაჩეხვა არის პროექტით განსაზღვრული.

8. პროექტის განხორციელების შედეგად გამოწვეული ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მდინარის წყლის ეკოლოგიური ხარჯის დადგენას უკავშირდება. სწორედ ამ პარამეტრთან არის დაკავშირებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ბიოლოგიურ გარემოზე ზეგავლენა და რამდენად შესაძლებელი იქნება, პროექტის განხორციელება გარემოსდაცვითი მოსაზრებების გამო.

6.5.2.2.1 ქვეთავში მოცემულია, რომ „მდ. ხედეთურასთვის ეკოლოგიური ხარჯის გაანგარიშება მოხდა 50%-იანი უზრუნველყოფის საშუალო წლიური ხარჯის გათვალისწინებით. ეკოლოგიური ხარჯის ოდენობად აღებული იქნა 0.055 მ3/წმ, რაც საშუალო წლიური ხარჯის 10%-ს შეადგენს.“ დოკუმენტში არ არის გამოყენებული ეკოლოგიური ხარჯის დადგენის თანამედროვე მიდგომები და მეთოდოლოგია. ამასთან, მდინარის წყლის ეკოლოგიური ხარჯი, განსაზღვრულია მხოლოდ ჰიდროლოგიური და ენერგეტიკული მოსაზრებებით და არა კომპლექსურად. შესაბამისად, არ არის შეფასებული, საკმარისი იქნება თუ არა მდინარეში დატოვებული წყალი, მდინარის ეკოსისტემისთვის, კერძოდ, მდინარე ხედეთურზე დამოკიდებული ფლორის სახეობებისათვის, ფაუნისთვის, მათ შორის თევზებისთვის.

აქვე უნდა ითქვას, რომ თავად ანგარიშის თანახმად, მდ. რიცეულასა და ხედეთურის წყლის ხარჯის შემცირება საგრძნობლად გააუმჯობესებს იქითოფაუნის საარსებო გარემოს; „ექსპლუატაციის შედეგად მდ. რიცეულას კალაპოტში (მდ. ხედეთურას შერთვიდან ჰესების ძალურ კვანძამდე მონაკვეთში) დარჩება მხოლოდ 0,6 მ/წმ რაოდენობის ეკოლოგიური ხარჯი, რაც წყლის ბიოლოგიური გარემოსთვის მნიშვნელოვან ნეგატიურ ზემოქმედებად უნდა ჩაითვალოს.“ (გვ. 102). შემარბილებელ ღონისძიებად, კი გზმ ავტორს მითითებული აქვს თევზსავალის მოწყობა. მაშინ, როცა პროექტით განსაზღვრულია მდინარის წყლის ეკოლოგიური ხარჯის, მხოლოდ 10%- ის დატოვება, რაც სრულიად არასაკმარისია მდინარეზე დამოკიდებული ეკოსისტემისათვის, ზემოთმოცემული შემარბილებელი ღონისძიების გატარება, ფაქტიურად აზრს არის მოკლებული.

ასევე ყურადსაღებია, რომ მდ. ხედეთურა ჰიდროლოგიური თვალსაზრისით არ არის შესწავლილი. გზმ ანგარიშის თანახმად, იმის გამო რომ მდინარე ჰიდროლოგიური თვალსაზრისით შეუსწავლელია, მდინარე-ანალოგად აღებულია მდ. რიცეულა, რაც გამორიცხავს ზემოქმედების ადექვატურად შეფასებას და შესაბამისად შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვას

9. ანგარიშის მე-10 თავი „საზოგადოების ინფორმირება და საზოგადოებრივი აზრის შეფასება“ – წარმოდგენილია სრულიად არადექვატური ინფორმაცია. კერძოდ ქვეთავში მოცემულია კონსტიტუციის 37- მუხლის მოთხოვნები და აღნიშნულია, რომ ამ ნორმებიდან გამომდინარე „დაგეგმილი საქმიანობის განმხორციელებელი ვალდებულია გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის პაკეტის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენამდე, უზრუნველყოს საჯარო განხილვის ჩატარება“.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების დებულების 6.2 მუხლის ლ) ქვეპუნქტის თანახმად, გზმ ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საზოგადოების ინფორმირებისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლის თაობაზე - რაც არ არის წარმოდგენილი.

10. 3.6 ქვეთავში ნარჩენების მართვა, ჩამოთვლილია მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი სხვადასხვა სახის ნარჩენები, როგორცაა სახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, მოხსნილი მცენარეული საფარის ნარჩენები და ა.შ. თუმცა, არ არის მოცემული, მათი საბოლოო განთავსების გზები/საშუალებები. ქვეთავში მხოლოდ ზედაპირულად არის წარმოდგენილი, რომ „სახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის სამშენებლო მოედნებზე ცალ-ცალკე დაიდგმება სპეციალური კონტეინერები (სათანადო აღნიშვნებით). კონტეინერებში პერიოდულად დაგროვილი ნარჩენები გატანილი იქნება რაჭა ჰესის სამშენებლო ბანაკზე არსებულ სასაწყობო სათავსში, საიდანაც შემდგომი გაუვნებლობისთვის საბოლოოდ გადაეცემა ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორს“. თუმცა, ვისზე მოხდება გადაცემა, ასევე არ არის დაზუსტებული.

11. გზმ დოკუმენტში ნათქვამია, რომ „მოხდება მშენებლობის პროცესში შემთხვევით დაბინძურებული ნიადაგების მოხსნა და გატანა სარემედიაციოდ, სამშენებლო ნარჩენების გატანა და ა.შ.“. _ (გვ. 23). თუმცა, სად/როგორ და რომელ კომპანიაზე მოხდება გადაცემა, ან თუ თავად კომპანია იღებს ამის ვალდებულებას, არ არის დაზუსტებული. ასევე გაუგებარია, რა ღონისძიებების გატარებას გულისხმობს გზმ ავტორი ზემოთმოცემულ „და ა.შ.“- ში. “

12. გზმ დოკუმენტში მოცემულია, რომ სამშენებლო სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე ახალი სამშენებლო ბანაკების მოწყობა დაგეგმილი არ არის, რადგან გამოყენებული იქნება რაჭა ჰესის მშენებლობისას გათვალისწინებული სამშენებლო ინფრასტრუქტურა. თუმცა, ამის შემდეგ, ანგარიშის 3.4.2

ქვეთავში ნათქვამია, რომ „რაჭა ჰესის სამშენებლო ბანაკზე წარმოდგენილია, საერთო საცხოვრებელი 6 კაცზე“. მაშინ, როცა ანგარიშში ნათქვამია, რომ მშენებლობაზე სრულად დასაქმდება 35-40 ადამიანი. გაუგებარია თუ სად და როგორ მოხდება დარჩენილ დასაქმებულთა განთავსება.

13. და ბოლოს, გაუგებარია, რას ემსახურება ანგარიშის მე-11 თავი - „დასკვნები და რეკომენდაციები“. აქ არ არის შეჯამებული შეფასების შედეგები; გაუგებარია, ვინ არის წარმოდგენილი რჩევების/რეკომენდაციების ადრესატი, ვინაიდან პროექტის წარმომდგენი კომპანია უნდა იღებდეს ვალდებულებებს და არა გასცემდეს რეკომენდაციებს.

გამომდინარე იქედან, რომ გზშ ანგარიშში წარმოდგენილი კვლევები ზედაპირულია, ხოლო არაერთი საკითხი საერთოდ არ არის შესწავლილი, იგი არ ასახავს სრულყოფილად სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე მოსალოდნელ ზემოქმედებას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ გზშ ანგარიშის წარმოდგენილი სახით ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის / გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად წარდგენა ყოველად დაუშვებელია.